

ხშირად დასმული კითხვები

საკითხები:

- პროექტის რეგისტრაცია
- პროექტში მონაწილე სუბიექტები
- ბიუჯეტი
- პროექტების შეფასება
- გრანტის მიმღების ვალდებულებები

პროექტის რეგისტრაცია

- 1. სავალდებულოა თუ არა, პროექტში ჩართული უცხოელი მეცნიერი რეგისტრაცია GMUS-ში?**
პასუხი: დიახ, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხოელი მეცნიერის რეგისტრაცია GMUS- სავალდებულოა.
- 2. სავალდებულოა თუ არა, პროექტის ყველა მონაწილის დარეგისტრირება GMUS-ში?**
პასუხი: დიახ, GMUS-ში ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიაროს პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულმა ყველა მონაწილემ.
- 3. GMUS-ში მხოლოდ წამყვანი ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს?**
პასუხი: პროექტში წამყვანი ორგანიზაციის გარდა აუცილებელია, GMUS-ში დარეგისტრირდეს თანამონაწილე ორგანიზაცია და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 4. აუცილებელია თუ არა, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემული რუსული დიპლომის თარგმანა?**
პასუხი: საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.
- 5. როგორ უნდა წარმოვადგინოთ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“?**
პასუხი: „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ გენერირდება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის შემდეგ. გენერირებული განცხადება უნდა წარმოადგინოთ ფონდის კანცელარიაში შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით.
- 6. საპროექტო წინადადება იტვირთება თუ GMUS-ში ივსება?**
პასუხი: საპროექტო წინადადება იტვირთება PDF დოკუმენტის სახით.

7. ვინ არეგისტრირებს პროექტს GMUS-ში?

პასუხი: პროექტის GMUS-ში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი, თუმცა შესაძლებელია მას ასისტენტობა გაუწიოს კოორდინატორმა ან თანახელმძღვანელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროექტში მონაწილე სუბიექტები

8. რა სამეცნიერო ხარისხს უნდა ფლობდეს პროექტის ხელმძღვანელი ?

პასუხი: პროექტის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

9. რა სამეცნიერო ხარისხს უნდა ფლობდეს პროექტის კოორდინატორი?

პასუხი: პროექტის კოორდინატორი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი).

10. უცხოელი დამხმარე პერსონალის თანხმობის წერილი საჭიროა?

პასუხი: არა, უცხოელი დამხმარე პერსონალი არ რეგისტრირდება GMUS-ში და შესაბამისად არც თანხმობის წერილს წარმოადგენთ.

11. შეიძლება თუ არა, კონკურსზე წარმოდგენილ პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულ პირებმა მონაწილეობა მიიღონ სხვა კონკურსებში, მაგალითად ფუნდამენტურ კვლევების საგრანტო კონკურსში?

პასუხი: დიახ, შესაძლოა პროექტში ჩართულმა ძირითადმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღოს სხვა კონკურსებში.

ბიუჯეტი

12. 70 000 ლარი საქართველოში წარმოებული კვლევისათვის და 100 000 ლარი საზღვარგარეთ წარმოებული კვლევისათვის პროექტის ჯამური ბიუჯეტია თუ წლიური?

პასუხი: პროექტის მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი არის 70 000 ლარი საქართველოში წარმოებული კვლევისათვის და 100 000 ლარი საზღვარგარეთ წარმოებული კვლევისათვის.

13. კითხვა: თანამონაწილე ორგანიზაცია არის თუ არა გრანტის მიმღები?

პასუხი: დიახ, თანამონაწილე ორგანიზაცია წარმოადგენს გრანტის მიმღებს.

14. შემიძლია თუ არა, 70 000 ან 100 000 ლარზე ნაკლები მოვითხოვო?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

15. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებაზე არის თუ არა ლიმიტები?

პასუხი: არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებასთან დაკავშირებით ლიმიტები არ არის.

16. აუცილებელია თუ არა, მივლინების ხარჯის დეტალური აღწერა?

პასუხი: არა, მივლინების ხარჯების დეტალიზაცია არ არის საჭირო.

17. წიგნის/კატალოგის ბეჭდვის ხარჯები ბიუჯეტის რომელი მუხლიდან ფინანსდება?

პასუხი: წიგნის/კატალოგის ბეჭდვის ხარჯებს მოიცავს საქონელისა და მომსახურების მუხლი, კერძოდ ოფისის ხარჯები.

18. შეიძლება თუ არა ბიუჯეტი დოლარში ავსახო?

პასუხი: არა, ბიუჯეტში ხარჯვითი კატეგორიები ასახული უნდა იყოს ლარში

პროექტების შეფასება

19. როგორ ფასდება პროექტები?

პასუხი: პროექტებს აფასებს კომისია, რომლის მუშაობის წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

გრანტის მიმღების ვალდებულებები

20. გრანტის მიმღებს რა ვალდებულებები ეკისრება?

პასუხი: გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში. ასევე გრანტის მიმღები ვალდებულია, შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს (webpage) სადაც ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია პროექტში ჩართული მეცნიერების, მათი კვლევებისა და პროექტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის შესახებ.